

F1294
1921

ხელნაწიხის უფლებით.

ქართული
ბიბლიოთეკა

თავისუფალი საქართველო

№ 4.

26 ივლისი, 1921 წელი.

№ 4.

გოლუბაჟიკაჟი საქართველოჟი.

III

რუსეთის დიდი რევოლუციის პრობლემა—ეს მეტად რთული და მოულოდნელობით სავსე პრობლემაა.

და მისი გაგება არ შეიძლება საფრანგეთის რევოლუციის ანალოგიით. იგი მართალია ბევრში გავს ამ უკანასკნელს, მაგრამ ექვსგარეშეა აგრეთვე, რომ ძალიან ბევრში განსხვავდება კიდევ მისგან.

წაავსებს მას იმ ობიექტიურ მიზნებით, რომელიც დღას მის წინაშე, და ზოგიერთი საშეაღებებით, რომელითაც ცდილობს ამ პრობლემის გადაჭრას, განსხვავდება თავის მამოძრავებელი ძალებით და უმთავრესათ კი ისტორიულ პირობებით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რუსეთის რევოლუციის გამარჯვებაში დიდი წილი უდევს მსოფლიო ომს და ამ ომში აბსოლუტიზმის სასტიკი დამარცხებას.

აქედან წარმოსდგა ის, რომ სამხედრო ელემენტი იმ თავითვე ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაგანი შეიქნა ამ რევოლუციის. მუშათა საბჭოებთან ერთად იყო და ვითარდებოდა სალდათათა საბჭოები, თვით ჯარი დაიფარა რევოლუციონური ორგანიზაციებით და ამან თავისებური ელფერი და მიმდინარეობა მისცა რუსეთის რევოლუციას.

დღეს ექვსგარეშეა, რომ თუ საფრანგეთის რევოლუციის ეტაპები აღინიშნება რევოლუციური დემოკრატიის მასიური გამოსვლებით, თუ საერთოდ იქ უპირველესი ადგილი ეჭირა სამოქალაქო ელემენტს, რევოლუციონურ კლუბებს, ქალაქის კომუნებს და სხვ, რუსეთში, პირიქით, გადაპურელი მნიშვნელობა ქონდა შეიარაღებულ სამხედრო ძალას, არმიას. არმიამ გადაჭრა ბუდი მარტის რევოლუციის. უმთავრესად არმიამვე გადასცა ოქტომბრის

დღეებში ძალა უფლება კომუნისტებს. არმია არის ერთად ერთი სიმარგე და სიძლიერე მათი დღეს.

აქედან ადვილი ასახსნელია რუსეთის კომუნისტების მილიტარისტული და იმპერიალისტური ტენდენციები, რომელთა მსხვერპლი შეიქნა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

როგორ შეუძლია საქართველოს ამ შონობიდან თავის დაღწევა და საქართველოს რევოლუციას თავის საკუთარ კალაპოტში ჩადგომა?

ეს—დია, პატარა საქართველო ვერ გადაჭრის დიდი რუსეთის რევოლუციის რთულ პრობლემებს. იგი ვერ დაიმორჩილებს რუსეთის უსაზღვრო სტიკიას. სად სამი მილიონი ხალხი და სად 150 მილიონი!

ბაშასადამე ხსნა არსად არის?

როგორ არა, არის, და ეს ხსნა უნდა ვეძიოთ თვით რუსეთის სინამდვილეში და ისტორიის მსვლელობაში. ჩვენ ვეცდნობით სწორედ ამ ისტორიის გარდუვალ ლოლიკას, რომელსაც ისტორიული აუცილებლობა ეწოდება.

ძნელია, რასაკვირველია, წინდაწინვე განსჯერება რუსეთის რევოლუციის ბედის. ეშვი არაა, ის კიდევ დიდხანს იტულებს, სანამ შინაგან ძალთა ერთგვარ წონა-სწორობას მიაღწევდეს, სანამ საბოლოოთ გადაჭრიდეს და შევიდნ საზოგადოებრივ-იურიდიულ ფორმებში ჩამოაჯალიბებდეს იმ რევოლუციურ მონაპოვას, რომლის განმტკიცება არ ძალუბს ბოლშევიზმს.

ჩვენ გვინდა, რომ ეს დუღილი დემოკრატიის გამარჯვებით დაგვირგვინდეს, რომ რუსეთი ნამდვილ დემოკრატიულ სახელმწიფოს დაემსგავსოს, ეს დიდათ ხელს შეუწყობს საქართველოს და რუსეთის შორის კეთილ მეზობლურ განწყობილების დამყარებას. მაგრამ დღეს კატეგორიული აზრის გამოტანა მაინც გვიძინდება...

F 8348

საქართველოს
ქართველი
ბიბლიოთეკა



კომუნისმის ბედი კი ჩვენთვის საბოლოო გა-
რკვეულია. რუსეთის დღევანდელი სინამდვილის
პროგნოზი გვეუბნება, რომ «რითელი» რეჟი-
მიც ისე წარმატებულია და ხანმოკლე, როგორც
კლრაჟ-დენიკინის შავი ავანტიურა.

მათლაც, მარტის რევოლუციის პრობლე-
მები გადაუტრეული იყო, როცა ჯარის წყალო-
ბით კომუნისტები წამოაკლეს რუსეთის სა-
თავეთ. უკანასკნელბმა მათზე შეჩერების და
მათი გადაჭრის ნაცვლათ წამოაყენეს დიდი მსო-
ფლიო პრობლემები მუშათა საერთაშორისო გა-
ნათვისუფლების, დაუღონებლივ სოციალიზმის
განხორციელების და სხვ. მაგრამ მათ მიუღვენ
განასაჭრელათ ქველი, პირველ-ყოფილი ბარბა-
რულ რუსული საშეაღლებებით. მათ მოისურვეს სოცი-
ალიზმის შემოდება სტენკა ჩაჩინის მეთოდებით
და წარმოების სრული განადგურებით. რადგან
მათ არ გაყვა ემრავლესობა, მათ აღიარეს დიქ-
ტატურა მცირე ჯგუფის, როგორც განმათავი-
სუფლებელი დიდი უმრავლესობის. ამით რუ-
სეთის რევოლუციაც მათ ხელში გადასცდა ცო-
ველ ისტორიულ მიჯნებს და როგორც ასეთი
ძალადობრივად მიჯნებს და როგორც ასეთი
მომრეობას. მაგრამ რადგან ძალადობა კი არ
ქნის ისტორიას, არამედ მთელი კომპლექსი
ეკონომიურ და სოციალურ პირობებისა და მა-
თვან შექმნილ შესაძლებლობისა, იგი თავის წი-
ნაღმდებლობამდე მივიდა და უსაშინელეს ეკო-
ნომიურ და პოლიტიკურ რეაქციით მოგვევ-
ლინა. ხოლო მისი მოქმედება ერთ დიდ უარყო-
ფით მოქმედებათ გადაიქცა.

ამ მხრივ სამი წლის დაუსრულებელი ნგრე-
ვა-წიოების ხანაში მოსკოვის კომუნისმმა
ამოსწურა ცოველი შესაძლებლობა განადგურ-
რებელი მუშაობის და შეუბრალბელ ისტო-
რიულ აუცილებლობათ დაუბრუნდა იმის, რასაც
ანგრევდა: კაპიტალიზმის კვლავ შემოდებას,
თავისუფალ ვაჭრობის აღიარებას, კერძო ინი-
ციტივას, კონცეიებს, იჯარას, ერთი სიტ-
ყვით იცნო სრული თავის გაკორტება, რო-
გორც სოციალურათ, ისე პოლიტიკურათ.

ყოველივე საზოგადოებრივი ნიადაგი მას ფეხ-
ქვეშ გამოეკალა. და დღეს იგი წარმოადგენს
უკვე სრულიად აშკარათ და ნათლათ მხოლოდ
ხიშტს, მხოლოდ გაშიშვლებულ სამხედრო ბა-
ნაკს, რომელიც ნთქავს; მაგრამ ვერაფერს ქნის.

ამ რიგათ გამომქლენდა ნამდვილი ბუნება

ბოლშევიკური კომუნისმი, იგი იყო სამხედრო
დიქტატურა, აქამდე მოატანა მხოლოდ ომე-
ბით და სულღვემულობს დღესაც მხოლოდ ხიშ-
ტის წყალობით. მისი შემდეგი გზა ერთია—
ახალი ომების წარმოება, მისი არსებობის წყარო
ნათელია—ახლ-ახალი ავანტიურების დაწყება.
მაგრამ ამ მხრივაც დღეს მისი პერსპექტივები
სრულიად უიღებლა. ვეროპაში იგი ვერ შევა,
რადგან ვეროპა მანვე შეუდარებლათ ძლიერია
ძალით და კულტურით, ხოლო მორალურათ
კომუნისმი იქ უკვე გაკორტებული და დამარ-
ცხებულია. ახიაში დღეს ის კიდევ ბოგინობს,
მაგრამ ეჭვი არაა, აქ მის იდეურ გავლენაზე
ლაპარაკიც წედმეტია, ხოლო მის საშეგდრო
ლაშქრობას ახისიკენ ისეთივე ბედი მოვლის,
როგორც ნაპოლეონის ცნობილ ავანტიურას.

ამ რიგათ შინ აღმშენებლობითი მუშაობის
გზა მოჭრილია, მოჭრილია მისი გზა გარეთაც.
იგი ისტორიისგან განწირულია და მისი დაცემა
მხოლოდ დროისა და ქამის საკითხია.


და აი ეს არის უმთავრესი თავგედი იმის,
რომ საქართველო კვლავ დაახწვეს თავს კომუ-
ნისტებისაგან დადგმულ მონობის უღელს და
განაახლებს 26 მაისს დაწყებულ ისტორიულ
თვით-არსებობას.

ჩვენი მიზანია შეგნებულათ შეგვხედეთ ამ ის-
ტორიულ პროცესს და ხელი შევეწყეთ მისი
აუცილებელი შედეგების მოახლოვებას.

ჩვენმა ვრმა ეს თვთ რამეში უკვე ითამაშა თა-
ვის ისტორიული როლი: ბოლშევიკების იდეურ
და მორალურ დამარცხებაში. მან მთელი ვე-
როპის მუშათა დემოკრატიის და პროგრესიუ-
ლათ მოაზროვნე კაცობრიობის წინაშე საბო-
ლოთ ახდა ნიღბათ რუსეთის კომუნისტთა
საგმირო საქმეებს და მათი სინამდვილი იმპერი-
ლისტური სახე გამოაშკარავა.

საქართველოში დღეს ჩვენი მოვალეობაა შე-
მოგრობოთ მთელი ჩვენი ძალა და შეექმნათ
ზნეობრივი მთლიანობა ჩვენი რევოლუციური
დემოკრატიის, მთელი ჩვენი ხალხის; ჩვენი უმ-
თავრესი სამუშაო შეაგვიზიგება ვრის ყველა
სადი ელემენტების, რომელთა ძალაც გამოსა-
დგეი და საჭირო იქნება სულ მალე კომუნი-
ზმის ლიკვიდაციის დროს.

უნდა ვერიდოთ ცოველგვარ ექსცესებს და
პარტიზანულ გამოხსვლებს, რომელიც მხო-
ლოდ ძალბა დაქისსავა იქნებოდა და საშინელ





მსხვერპლს მოიტანდა, ვინაიდან დაუნდობელი კომუნისტები სისხლის ტბას დააყენებდნენ ყოველ ასეთ გამოსვლის პასუხად.

ძველი, ნაცადი რევოლუციური გზით, რომელიც სწევდა მასსიურ ძალას—აი ჩვენი ლოზუნგი.

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს დემოკრატია, მთელი ქართველი ხალხი ღირსეულად გადაიტანს ამ უკანასკნელ და უსაშინელეს განსაცდელს და სულით უფრო ძლიერი გამოვა ამ ბრძოლიდან.

ისტორია ჩვენსკენაა და გამარჯვებაც არ აგეკიდება.

კავკასიის ხალხთა შეთანხმება

II

პირველ წერილში (იხ. «თავ. საქ.» № 3) ჩვენ დავინახეთ, თუ რამდენათ სასურველი და სასარგებლოა კავკასიის ხალხთათვის ოთხ რესპუბლიკათა შორის დადებული ხელშეკრულება.

ხსენებული შეთანხმება გამოამდინარეობს საერთო ინტერესებიდან და აუცილებელია კავკასიის ერთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცვლათ და უზრუნველსაყოფათ. ასეთია მისი შინაგანი მნიშვნელობა.

კითხვა იზადება: როგორია ამ დაქტის საერთაშორისო ღირებულება?

შეიძლება რომელიმე ერს ან ერთა ჯგუფს თავისთავად ფრიად სასურველი და სიმპატიური მიზნები ქონდეს დასახული, მარა ბაშეც დროს მისი განხორციელება ფერხდებოდეს სხვა რომელიმე უფრო ძლიერი ერის თუ ერების წინააღმდეგობის გამო.

გაქვს თუ არა ჩვენ ამ შემთხვევაში ასეთ მოვლენასთან საქმე? ეწინააღმდეგება თუ არა კავკასიის ერთა თავისუფლება დიდი სახელმწიფოების ინტერესებს? ესე იგი საერთაშორისო ძალთა ურთიერთობა უწყობს ხელს თუ არა მომხდარ შეთანხმების განხორციელებას?

კავკასია აკავშირებს ერთიმეორესთან ევროპასა და აზიას. აქ თვის იტრის უდიდესი საერთაშორისო გზები. ამ გზების მშვიდობიანობაში ობიექტიურათ დანტერესებულა უდიდესი და უძლიერესი ქვეყნები. აქედან შიდის სპაჩსება და ინდოეთში ზმელების გზა. უკანასკნელით სარგებლობას ლაზობენ დღეს საბჭოთა რუსეთის მარაველები, რომ დეკრი და-

აბიჯონ ინგლისის ამ ყველაზე უფრო მტკივნა აღდგოს.

კავკასია და ამირ-კავკასია რუსეთის ხელში—სულ ერთია, იქნება ის საბჭოთა რუსეთით თუ განახლებული ბურჟუაზიული რუსეთით—ეს ნიშნავს საერთაშორისო მშვიდობიანობის მუდმივ საფრთხეში ყოფნას, გაძლიერებულ შეიარაღებას, განუწყვეტელ დიპლომატიურ ინტრიგებს და ხშირ-ხშირ ომებს ახლო და შუა აღმოსავლეთში ე. წ. წონასწორობის შესარჩენათ.

რუსეთის ძალა-უფლების აღდგენა კავკასიაში—ეს იქნება ისეთი ახალი კვიანის გასკენა, რომლის გახსნას მომავალში დასჭირდება უდიდესი მსხვერპლი კაცობრიობის მხრით. მთელი რიგი დიდი სახელმწიფოებისა და უპირველეს ყოვლისა ინგლისი—ობიექტიურათ და ფაქტიურათ დანტერესებულია იმაში, რომ კავკასიაში არ ბატონოდეს ისეთი ძალა, რომელსაც შეუძლია დიდი აგრესიული მიზნების დასახება და განხორციელება, რომელიც დაემუქრება მის უდიდეს სამფლობელოებს და საზოგადოთ შებღალავს მის ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებს.

პატარა ერთა თავისუფალი რესპუბლიკების არსებობა კავკასიაში და მათი თავდაცვითი კავშირის ამ მხრის უდიდესი გარანტია იქნება მშვიდობიანობის.

დღეს თვით ბურჟუაზიული ევროპა საკმაოდ დარწმუნდა იმაში, რომ იარაღით არ შეიძლება გადაიჭრას თანამედროვე პოლიტიკური და ეკონომიური პრობლემები. ამიტომ თვით ისინიც კი, ვინც წინთ ომს ეტრფოდენ და მსოფლიო საკითხებს იარაღით სწყვეტდენ,—თვით ასეთი წრეებიც კი დღეს იძულებული ხდებიან სხვაგან ეძებონ გამოსავალი გზები და შექმნან ისეთი პოლიტიკური კომბინაციები, რომლებიც ფაქტიურათ დაედებიან საერთაშორისო მშვიდობიანობის საქმეს.

კავკასიის ერთა თავისუფალი არსებობა და მათი კავშირის უწყველათ ერთი ასეთი ფაქტორს თავიანთ.

თითონ ის (კავკასიის რესპუბლიკათა კავშირი) არ შეიძლება ვახდეს აგრესიული და იმპერიალისტური. ის არ დაემუქრება და ვერც დაემუქრება სხვის საარსებო ინტერესებს. არც პოლიტიკური და არც ეკონომიური ინტერესები აიქულებს მას შეიქმნეს სხვისი მყუდროების



დამრღვევი. არც მცხოვრებთა რაოდენობის მხრივ წარმოადგენს იგი ისეთ მოვლენას, რომელიც შესაძლებელს ხდიდეს მის ავრესივობას. ბუნებრივთა, ეკონომიურათ და პოლიტიკურათ ის მხოლოდ იმისთვისაა გაჩენილი, რომ იყოს მშვიდობიანი და კეთილი მესობელი სხვისთვის და იმუშაოს მხოლოდ საკუთარი აღორძინებისა და წარმატებისათვის.

ასეთია ობიექტურათ მისი საერთაშორისო მდგომარეობა.

ეს თვისება, რომელიც გამოდინარეობს არა მისი კეთილი განზრახვებიდან, არამედ მისი ცხოვრების ბუნებრივ და სოციალურ თვისებებისაგან, მით უფრო საყურადღებოა, რომ ის საცესებით ეთანხმება თანამედროვე პროგრესისა და კულტურის განვითარებას.

დღეს ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ერთა თავისუფლება და დამოუკიდებლობა პროგრესის აუცილებელი პირობაა. თანამედროვე ევოქის ერთი უდიდესი დამახასიათებელი თვისება სწორედ ის არის, რომ ცველა ერთი, როგორც ევროპაში, ისე აზიაში, როგორც ძველ, ისე ახალ ქვეყანაში მიიღვივს განთავისუფლებისაკენ და ამ ძლიერი მისწრაფებისათვის ხელოვნური დამბრკოლებების შექმნა მხოლოდ ახანგრძლივებს კრიზისს და ქმნის საზოგადოების ზედმეტ ტკივილებს.

ფვიტ პატარა ერთა მპყრობელ სახელმწიფოების საღათ გავებული ინტერესები არ მოითხოვს უექველათ პირველთა თავისუფლების წინააღმდეგ ამხედრებას. პირიქით, რაც უფრო მეტ დამბრკოლსა და განიერებას გამოიჩენს ამ მხრივ დიდი ერთი, უკეთესია თითონ მისთვის, ვინაიდან სხვებზე ძალათ ბატონობა მოითხოვს უსარგებლოთ ძალების გაფლანგვას, რაც იწ-

ვეს შინაგან სისუსტეს და ჩამორჩენას. სწორეთ ამაზ დაღუპა ავსტრო-უნგრეთი, ძველი ოსმალეთი და სხვ.

ეს კარგათ ესმის თანამედროვე მოწინავე დემოკრატისა—მუშათა კლასს და ამიტომ არის, რომ იგი ცველგან და ცოველთვის გამოდის ერთა თვით-გამორკვევისა და თავისუფლების უდიდეს მომხრეთ. დღეს ბოლშევიკური იმპერიალიზმის წინააღმდეგ იგი იძალებს მედგრათ ხმას. ეს გარემოებაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, როცა ვლასპარაკობთ კავკასიის რესპუბლიკათა არსებობის უზრუნველყოფაზე.

მართალია, მუშათა კლასი ჯერ კიდევ ვერ გასწორებულა წელში საერთაშორისო ომის შედეგებისაგან, ჯერ კიდევ მისი წრეები გათიშული და დაქსაქსულია, მარა ეს გათიშული და დაქსაქსული ძალაც ფაქტურათ უდიდეს როლს თამაშობს საერთაშორისო პოლიტიკაში. ისტორიულ განვითარებას კი იგი მიყავს აუცილებელ გაერთიანებისაკენ. საერთაშორისო ცხოვრების ეს ახალი ფაქტორი საცესებით პატარა ერთა თავისუფლების მხარეზეა, რასაც ის ადასტურებს არა მარტო რეზოლიუციებით და პლატონიური სურვილებით, არამედ თავისი პრაქტიკული გამოსვლებითაც.

ამნაირათ, ცველა ზემოთ ჩამოფილილი გარემოებანი გვაფიქრებინებს, რომ არ არის და ვერც იქნება ფიქტია კავკასიის ერთა თავისუფლება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომ ტკვილათ არ ჩაივლის ამ ხალხების და მათ მეთაურთა მისწრაფება—განთავისუფლონ თავი უტოხო უხეშ ძალის ბატონობისაგან, რომელიც დღეს უდიდესი იდეალების სახელით ურცხვათ ფეხქვეშ თელავს ადამიანისა და ერის ელემენტარულ უფლებებს.

საქართველოს აჯახი.

ბოლშევიკების «აიმაკაცე». ამას წინათ თფილისში შემთხვევითი მიზნით აფეთქდა რამდენიმე ვაგონი ცუმბარებისა. აფეთქების ხმა ძლიერი იყო, ბევრ სახლში ფანჯრები ჩაიღწეა. ამ დროს «ჩეკას» სტომა ქონდა. ჩეკას წევრებმა იფიქრეს—ეს არის აჯანყება დაიწყო და შიშისაგან გულგახეთქილები აქეთ-იქით მიიძალენ. ზოგი და მათ შორის თვით თავმჯდომარე ლოგინ ქვეშ ეძებდა თავშესაფარს. ქალაქში

მრავალმა კომუნისტმა აიკრა ბარგი და შინაშურა საქართველოს სამხედრო გზას. მარა მალე მათდა საბედნიეროთ გამოირკვა, რომ არავითარი აჯანყება არ ცოფლა და გულდამშვიდებული შეუდგენ ისევ ხალხის აწიოკებას.

ხოლორა. ხოლორა თანდათან ძლიერდება თფილისში. ამ 20 დღის წინათ დღიურათ 40—50 კაცი ხდებოდა ავით. ბოლშევიკები კმაყოფილებიან მხოლოდ გახეთების კამპანიით. ნამდვი-



ლათ კი ქალაქი უპატრონოთაა. ხშირათ შეხედებით ქუჩაში სულთმობრძავ ავათმყოფებს და მკვდრებს. დედა ქალაქიდან ხოლერა პროვინციებსაც მოედო; გაჩადა ბათოში და, როგორც გადმოგვცემენ, ქართლის და კახეთის სოფლებშიც ქონდა ადგილი ხოლერით ავათმყოფობას. სხვათა შორის ავათ გახდა ხოლერით კათალიკოზი, რომელიც, საქართველოდან ჩამოსულების თქმით, უკვე გარდაცვლილა.

აღსანიშნავია, რომ შიმშილობის გამო ხალხი იძულებულია იკვებოს ხილით; რაც კიდევ უფრო აძლიერებს ეპიდემიას. ბოლშევიკები კი თითქო გაკორებულ ხალხს დასცინიანო—დიდ ქლაკებში სწერთ: «ნამეტანი არ გაძღვთ, სჯობია ცოტ-ცოტა ჭამო და ხშირათ», «ნუ სვამთ უდულარ წყალს», «ხოლერას ისევე უნდა ვებრძოლოთ, როგორც თეთრგვარდიელებს და მენშევიკებს» და სხვა და სხვა.

დახვრეტა. დღემდე ბოლშევიკები ხვრეტდნენ სისხლის სამართლის დამნაშავეებს და წითელ არმიელებს. ახლა ხელი მიეცეს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებსაც. ამ დღეებში დახვრიტეს ცნობილი ყოფილი წითელი გენერალი მარკოზაშვილი, რომელიც უკანასკნელათ საქართველოს გვარდიაში სამშობლოს დასაცავათ იბრძოდა მისეულ მტრის წინააღმდეგ. მასთან დახვრიტეს აგრეთვე ოფიცერი ფაველენიშვილი, სამხედრო კონტრაზვედციის ყოფილი მოსამსახურე, და გ. მნელაძე.

ჩეკა და ყაჩაღი. თელავში ჩეკას თავმჯდომარეთ დაუნიშნავთ ბულდანი იავოროვი, ხოლო თანეთში მისი ძმა. ესენი ორივე ცნობილი ყაჩაღები და შანტაჟისტები იყვნენ და სხვათა შორის მონაწილეობდნენ ეპატორ ხითაროვის გატაცებაში. თანამშრომლებათ მათ, რასაკვირველია, ყველა თავის ამქრები აუტყვანიათ. აი ვინ არიან კომუნისტების ბურჯნი საქართველოში!

სოც.-დემ. მასიური ჭერა საქართველოში. ბოლშევიკები უკვე საბოლოოთ დარწმუნდნენ, რომ საქართველოში მათ არავითარი ნიჟაგი არ აქვთ. მთელი ხალხი, განურჩევლათ მდგომარეობისა და მიმართულების, ამ მოვალატეებს ზიზღით უტყერის და აშკარათ გამოხს. ამას ხედავენ ზნეობრივთა და პოლიტიკურთა გაკოტრებული ჩვენი კომუნისტები და გამოსავალს შურის ძიებაში ეძებენ. მიუხედავათ იმისა, რომ მენშევიკურმა პარტიამ თავიდანვე განაცხადა,

რომ ის უარჯოს შეთქმულებას, რჩება მასიურ პარტიათ და აწარმოებს პრინციპიულ პოლიტიკურ ბრძოლას თავის შეხედულებების დასაცავათ და მიუხედავათ გამოცხადებული «ანისტიისა», ბოლშევიკებმა პირველი დღიდანვე მიეცეს ხელი სოც.-დემ. ჭერას. მრავალი სოც.-დემ. ავტო რამდენიმე თვეა ციხეში სხედან. მარა ჩვენი კომუნისტები ამითაც არ დაკმაყოფილდნენ. ეს ერთი ხანია მათი ცეკა მოთხოვნილებას მოთხოვნილებასზე უფლებდა რეკომს, რომ «ლიბერალური» რეჟიმისათვის თავი დაენებებია და რეპრესიები გაეძლიერებია. და აი, ჩამოვიდა ბ. სტალინი თფილისში, ფ. მახარაძე გადააქენეს როგორც «რბილი» პარტიელი და მის ადგილას დანიშნეს ნახევრათ გიორგ. მდივანი. ამის შემდეგ დაიწყო გაძლიერებული ტებნა და ჭერა მენშევიკებისა. თფილისში დაატუსაღეს მრავალი მოწინავე მუშა და ინტელიგენტი, მათ შორის: სილა. ჯიბლაძე, ის. რამიშვილი, ალ. ლომთათიძე, ალ. დგებუაძე, ნოე ცინცაძე, ან. კიპარაშვილი, ალ. ფარნევი, კ. გოგუა, გ. მახარაძე და სხვები; გურიისში—სიო ქანტურიშვილი, კალე ჯავთარაძე და სხვ. ეძებდნენ დ. შარაშინს, რომელიც უკვე საზღვარ გარეთ იმყოფებდა. თფილისში დატუსაღებულნი—ვევლა მეტეხში მოათავსეს. ნახვის ნებას არ იძლევიან. პირობები საშენელია. ციხეში დატუსაღებულთ საქმელს ვერ აძლევენ, თუ არ აძლევენ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბოლშევიკებმა დაკარგეს იმედი საქართველოზე და ებრძვიან რითაც და როგორათაც უშუძლიათ ამ «თეთრ გვარდიელების ბუღეს». ასე «ეგუებია» ისინი საქართველოს განსაკუთრებულ პირობებს!

სტალინი მუშათა კრებაზე. ბ. ჯულაშვილმა ჩამოსვლის შემდეგ მოისურვა ჩვენი მუშების შეხედრა და ნაძალადევის მუშათა სასახლეში კრება მოიწვია მოხსენების გასაკეთებლათ. მოხსენების გარეგნული ტონი ბოლშევიკისათვის მეტად ზრდილობიანი და რბილი იყო. სხვათა შორის, მან განაცხადა, რომ მენშევიკებისთვის მას არაკოდეს არ უწოდებია კონტრევოლიუციონერები. არსებითად კი მთელი მოხსენება მენშევიკების წინააღმდეგ იყო მიმართული. მუშები ხშირად აწვეტიებდნენ რეპლიკებით: უძახდნენ «ტყლილია» და სხვ. როცა მომხსენებელმა სხვათა შორის განაცხადა, რომ ჩვენ მთელი სად-



რანგეთის მუშათა კლასი მხარს გვიჭერსო — ხალხიდან დაუქაბეს: ააღბათ ისე, როგორც ჩვენ-შიო!» როგორც იყო მან მოხსენება დაბოლოვა, მარა როცა მის შემდეგ ვიღაც ადგილობრივმა კომუნისტმა მიონდობა ლაპარაკი, მას ამის ნება აუღიტორიამ არ მისცა. ილაპარაკა ალექ. დგებუაძემ, რომელმაც მუხლობრივ გა-არჩია მოხსენებლის ყველა დებულება. ხალხი მას დიდი აღფრთოვანებით უსმენდა. როცა ორატორმა სიტყვა დაასრულა, ვილაცამ წამოიძახა: აქ ისიდორე რამიშვილია და ვთხოვთ ილაპარაკოსო. მთელი დარბაზი დეებუ ადგა და დაუსრულებელი ტაშისცემით შეხვდა ამ განცხადებას. შემდეგ საღაღაც კუნჭულში აღმოაჩინეს ისიდორე, ეტაკენ, აიყვანეს ხელში და ისე მიიტანეს ტრიბუნაზე. მას ნება ქონდა 20 წამით ლაპარაკისა, მარა დარბაზის კატეგორიული მოთხოვნით ილაპარაკა 3 საათი. სიტყვას წამდაუნუმ მქუხარე ტაშისცემით აწყვეტიებდნენ.

ასეთი «სკანდალით» დასრულდა «დიდი» კომისრის გამოსვლა! სხვათა შორის ამ მიზეზითაც ხსნიან მენშევიკების გაძლიერებულ ქებას. საბრალო კომუნისტები! დაშინებით ფიქრობენ დააფრთხონ და მიიხზრონ 25 წლის ბრძოლაში გამოწრთენილი ქართველი მუშა!

† სტეფანე ახმეტელაშვილი.

პირველი მსხვერპლი ბოლშევიკების უხეში ძალმომრეობის! პირველი ზეარაკი საქართველოს დამოუკიდებლობის! ამბ. სტეფანე ახმეტელაშვილი! სოც.-დემ. რწმენით, გულით და სულით თავდადებული მოღვაწე, ერთგული, წინარი, მაგრამ დაუსლავი მუშაკი, რომელიც თვითმპყრობელობის დროიდანვე მტკიცეთ ადგა ერთხელ არჩეულ გზას. საქართველოს დამოუკიდებლობამდე იგი მსახურებდა რუსეთის შიდა გუბერნიებსა და ტაშვენტში, და მხოლოდ დიდი რევოლუციის შემდეგ იქნა გადმოცვანილი თავის სამშობლო მხარეში.

დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან იგი ერთი მთავარი მონაწილე იყო ყველა იმ ომების, რომელიც რესპუბლიკას თავს დაატყდა და არც ერთხელ უკან არ დაუხეცია. გვარდია, რომელშიაც ის მსახურებდა თავდაპირველათ, მის ხელში გამოვარდა თავის პირველ ნაბიჯებში.

შემდეგ იგი გადმცვანილი იქნა სანაპირო ჯარების ხელმძღვანელათ და ამ თანამდებობაში იყო, როცა კახეთს კომუნისტების ლაშქარი შემოადგა. თავის მცირე ჯარით იგი დიბანს უმკლავდებოდა ბევრათ უფრო მრავალრიცხოვან მტერს და მხოლოდ თბილისის დასვენის შემდეგ ჩაუვარდა ხელში გარშემოტყმულ წითელ ჯარებს.

როგორც სოციალისტი და დემოკრატი, როგორც ერთგული დარაჯი საქართველოსი, იგი შეიქნა კომუნისტთა სისასტიკის და ველურობის პირველი მსხვერპლი.

იგი და მისი თანამშრომელნი რუსეთს გააგზავნეს, სადაც, როგორც გვატკობინებენ, ტიფით და უქმელობით გარდაიცვალა ეს საწვარვლი და ერთგული შვილი ქართველი დემოკრატი. განისვენე ამხანაგო ტკბილათ, საქართველო შენს სახელს არ დაივიწყებს და დემოკრატია თავის სოციალისტურ გენერალს!

თქვენი უდროვით მოწვევტილი სიცოცხლე ილაღადებს მუდამ კომუნისტების სიველურენხ და ბარბაროსობაზე.

ჩვენ კი შენს ხატებას მუდამ გულში ვატარებთ. მშვიდობით!

საქპარ. სოც. დემ. მუშ. პარტიამი

ისტორიული დოკუმენტი.

(რეზოლუცია, თბილისის სოც.დემ. კრილოპის მიერ მიღებული 10 აპრილს, 1921 წელს)

უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ძირითადთა შეიცვალა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის საზღვრებში შემოიჭრა უცხოეთის ჯარები, რომლებმაც ბრძოლით დაიკავეს რესპუბლიკის მთელი ტერიტორია ფოილოდან შავ ზღვამდე და შემოიღეს არეულობის ხელისუფლება.

შეიარაღებული თავდაცვითი ბრძოლის შემდეგ, რომელსაც აწარმოებდა რესპუბლიკა ჩვენს პარტიის მხურავებ მონაწილეობით, ჩვენ ვდგევართ ომისა და მისი შედეგების მიერ შექმნილ ახალი მდგომარეობის წინაშე და გვიბდება მოღვაწეობა ამ ახალი ურთიერთობის ფარგლებში.

საქართველოს სოც.-დემ. პარტიის ცენტრა-



ღური, ქალაქ თფილისის და თფილისის მაზრის კომიტეტების თათბირი იღებს რა მხედველობაში ერთის მხრით ამ ახალ შექმნილ ვითარებას და მეორეს მხრით საქართველოს რევკომის და მისი პასუხისმგებელი წარმომადგენლების განცხადებებს ქართველი ხალხის წინაშე, სახელდობრ:

ა) რომ, საქართველოს რევკომი სდგას საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე და რომ მისი პოლიტიკა იქნება მიმართული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაცვისა და განმტკიცებისაკენ.

ბ) რომ ის საქართო შექმნის საქართველოს წითელ არმიას, რომელიც იქნება ერთადერთი სამხედრო ძალა რესპუბლიკაში.

გ) რომ ის საქართველოში უახლოეს მომავალში მისცემს მშრომელ მასსას თავისუფალ არჩევნების უფლებას და რომ ჩვენში საბჭოთა წყობილების განხორციელებას და საბჭოთა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას შეუფარდებს ადგილობრივ პირობებს და ჩვენი ქვეყნის თავისებურებას.

დ) რომ საქართველოში მომქმედ სოციალისტურ პარტიებს, რამდენადაც ისინი აქტიურად არ ეამბიბან არსებულ წესწყობილებას, შეძლავთ ექნებათ ლეგალურად იმოქმედონ.

იღებს რა ცოველიე ამას მხედველობაში იმ იმედით, რომ წემოდანიწული განცხადებანი ს. ს. ს. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის ურყევად და სრულად იქნეიან გატარებული ცხოვრებაში, თათბირი აცხადებს:

1) ჩვენი პოლიტიკური ხაზი ახალ პირდებშიაც საერთოდ იგივე რჩება, როგორც წინეთ იყო. ეს ხაზი გამოიხატება ფორმულით «დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ».

2) საქართველოს დამოუკიდებლობა ს. დემ. პარტიას დღესაც მიანიჩა თავის მოღვაწეობის ერთ-ერთ საფუძვლად. მისი მუშაობა წინანდებურად მიმართული იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის გამაგრებისაკენ.

3) სოც.-დემ. პარტია მუდამ იყო მასიური, განსაკუთრებით საქართველოში, და დღესაც ამგვარივე რჩება. მას მიუღებლათ მიანიჩა შეთქმულებით მეთოდებით, ის სდგას იდურ ლეგალურ მოღვაწეობის ნიადაგზე და გადაჭრით აფრთხილებს თავის თანამგრძნობთ და მიულ ხალხს შეიარაღებული გამოსვლებისაკენ.

4) ცოველგვარ თავისუფალ არჩევნებში, რამელშიც დინტრატებულია ხალხის დართო მასსები, ჩვენი პარტია მიიღებს მხურვალე მონაწილეობას და შეებრძოლება ბოიკოტისტურ მეთოდებს. წარმომადგენლობითი დაწესებულებებში ის სოციალ-დემოკრატიულ კრიტიკასთან ერთად აწარმოებს ორგანიულ მუშაობასაც.

5) ჩვენ ეხლავე მივიღებთ მონაწილეობას ცოველგვარ კულტურულ ეკონომიურ საღმშენებლო მუშაობაში და მოუწოდებთ ამხანაგებს და თანამგრძნობთ გადაჭრით უარყონ საბოტაჟი.

6) საგარეო პოლიტიკაში ჩვენ ვეყრდნობით საერთაშორისო მუშათა კლასის თანამგრძნობასა და გადაჭრით უარყვოვთ კავშირს იმპერიალისტურ ძალებთან.

7) ამავე დროს იმ არჩევულებრივ და რაულ პირობებში, რომელშიაც ამ ჟამად იმყოფება საქართველო და მისი მშრომელი ხალხი, ჩვენ მიწანშეწონილათ მიგვაჩნია, რომ საქართველოს მუშათა კლასის წინანურ ურთიერთობის მოგვარების საქმეში ამხანაგურათ და მცვობრულათ ჩაგროთ მუშათა ინტერნაციონალი შემდეგი ფორმით:

დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობის ორივე დართო სოციალისტური და კომუნისტური ადგენენ შერეულ კომისიას, რომლის კონტროლის ქვეშ ხდება საქართველოში თავისუფალი არჩევნები მშრომელი ხალხის ნების გამოსახატავად. ამ საკონტროლო-საარბიტრაჟო კომისიის შემადგენლობის შესახებ ცენტრალური კომიტეტი შეუთანხმდება კომუნისტურ პარტიას.

ეს დადგენილებანი გამოცხადდეს საჯაროდ, გავეზავნოს საქართველოს რევკომს, საქართველოს კომუნისტურ და სოციალისტურ პარტიებს და ეცნობოს მეორე ინტერნაციონალს, რეკონსტრუქტორებს და მესამე ინტერნაციონალს.

ეს რეზოლიუცია ათ აპრილს, სახელმწიფო თეატრში მომხდარ პარტიულ კრებაზე, რომელსაც დაესწრო 3000-მდე პარტიის წევრი, მიღებულ იქნა ერთხმად.

პარტიულ კრების თავმჯდომარე მ. ჯობლაძე, მამჯდომარის ამხანაგი ვ. ნოდია, მდივანი შ. აბდუშელიშვილი.



რ ე ზ ო ლ ი უ ც ი ა

მიღებული №... ს.-დემ. ჯგუფის მიერ *).

ა) საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ შეაჩერა მთელი ქართველი ერის კულტურული, ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება; მარა ყველაზე უფრო მძიმე ტვირთად იგი დააწევა საქართველოს მუშათა კლასს, რომელიც უღეს ყველაზე მეტად შევიწროებული და უფლებდა აყრილი კლასია უცხო ჯარებზე დაყრდნობილ ბოლშევიკურ დიქტატურის მიერ.

ახლანდელი კომუნისტური რეჟიმი პროლეტარიატს და მთელ ხალხს უქადის უსაზღვრეს დაქსაქსვას და სრულ დღგრადაციას.

ამიტომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და ამ დამოუკიდებლობის აღდგენა შეიცავს სოც.-დემ. მუშათა პარტიის მიმდინარე მოღვაწეობის ერთ-ერთ უმთავრეს საგანს.

ბ) ბოლშევიკურმა ძალადობამ და კომუნისტურმა ექსპერიმენტებმა, რომლებმაც სახსებობით დასცა და გაანადგურა ისედაც სუსტი საქართველოს სახალხო მეურნეობა, კიდევ უფრო დაარქმუნა ქართველი პროლეტარიატი ძველი სოციალისტური მეთოდების სისწორეში, რომელიც გამოიხატება დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ სვლაში.

გ) ისახავს ზა მიზნად შესცვალოს ბოლშევიკების სამხედრო დიქტატურა დემოკრატიული წყობილების აღდგენით, კრება მიზანშეუწონათ აღიარებს შეთქმულებების გზით გადატრიალების მოხდენას, როგორც საშვალეობას უცხო ძალებისაგან განთავისუფლებისს და მის მაგიერ წინ აყენებს მასიური თვითმოქმედებისა და ორგანიზაციის მეთოდებს.

დ) როგორც წინთ, ისე დღესაც, სოც.-დემოკრატია საქართველოში გამოდის, როგორც მასიური პარტია, უძღვედა პროლეტარიატის და სოფლის ღარიბი ნაწილის ყოველდღიურ ბრძოლას, მიმართულს ბოლშევიკური ექსპლოატაციისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ, იღებს მონაწილეობას პროლეტარიატის კავშირების და საბჭოების არჩევნებში და ცდილობს ბოლშევიკურ თვითნებობას და საარჩევნო კომედიებს დაუპირდაპიროს მუშათა და გლეხთა გარკვეული სურვილი—ყავდეთ ამ ორგანიზებში ნამდვილი წარმომადგენლობა და არა ძირსწიჩაიკებისა მიერ წვეიდან დანიშნული პირები.

თავის საერთო პოლიტიკურ მუშაობაში სოც. დემოკრატია ყოველ გვარ ზომას ხმარობს

სრულიად გაამარტავოს ბოლშევიკები და ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლის პროცესში თავის გარშემო შემოიკრიბოს ქართველი ხალხის ყველა ოპოზიციური და რევოლუციური პარტიები და წრეები.

დ) კავკასიის ერთა შეთანხმებისა და სოლიდარობის იდეის განხორციელებაში კრება ხედავს ერთ-ერთ აუცილებელ პირობას კავკასიაში მომხინარე ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისა; ამიტომ იგი სიამოვნებით ეგებება ოთხი რესპუბლიკის წარმომადგენელთა მიერ პარიზში მიღებულ დეკლარაციას, რომელსაც საფუძვლათ უდევს ურთიერთისაღმი დახმარებისა და სოლიდარული მოქმედების იდეა.

ე) კრება აღნიშნავს, რომ საქართველოში ბოლშევიკური სამხედრო ძალა-უფლების დამკვიდრების შემდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმე დიდად უკუაქვშირდა რუსეთის საერთო განმათავისუფლებელ მოძრაობის ბედს. ამიტომ იგი საჭიროთ სთვლის, რომ საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიამ მუდმივო ურთიერთობა იქონიოს რუსეთის სოციალისტურ და დემოკრატიულ პარტიებთან და წრეებთან თავისი მუშაობის რუსეთის საერთო განმათავისუფლებელ ბრძოლისთან შესთანხმებლათ და ხსენებულ პარტიების და წრეების მოსამხრებათ, რათა მათ იცნან საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი ცალკე სახელმწიფოებრივი არსებობის საჭიროება.

ვ) საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში ფართოდ გამოყენებულ უნდა იქნეს აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობა და დიპლომატიური საშვალეებანი.

ზ) კრება სიამოვნებით აღნიშნავს დასავლეთ ევროპის ფართე პროლეტარულ და დემოკრატიულ წრეებში წარმოებულ მუშაობის შედეგებს, საჭიროთ ხედავს მუშაობის ამ მხარეს მომავალში კიდევ უფრო მეტი ყურადღებ მიექცეს, რათა ევროპის დემოკრატიათ სახეობის გაიყნას საქართველოს დღევანდელი ტრალიკული მდგომარეობა და აქტიურ მეგობრათ გაუხდეს მის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას.

თ) დასასრულ კრება იღებს რა მხედველობაში ქართველი ხალხის საზინელ სასურსათო და საზოგადოთ გაპიერებულ ნივთიერ მდგომარეობას და მომავლის კიდევ უარეს პერსპექტივებს; სურვილს გამოისთქვამს, რათა საქართველოს კანონიერბა მთავრობამ გამოიხაოს გზები და საშვალეებანი შევსებუქოს მას ეს მდგომარეობა, რამდენადაც ეს შექმნილ პირობებში მისთვის პრაქტიკულად შესაძლებელია.

* იხედ გეოგოფენ გამოკაცქვენათ რეზოლიუცია, რომელიც მიღებულია ერთ-ერთ ქსელურ მსჯელობებ სახლარ-გარეთ გაღმობეწილ სოც.-დემ. მიერ.

რედ.



სოციალისტები და საქართველო.

გერმანიის და საქართველო.

პირველი დიდი გასაქურის დროს, როცა ოს-მალეთი წალეკას გვიპირებდა, ჩვენი ქვეყანა გერმანიამ დაიხსნა განსაძღვლისაგან. ეს იყო დამოუკიდებლობის პირველი წელს.

იმ დროიდან გვიანსკე ერთგვარი სულიერი კავშირი ქართველ ხალხსა და გერმანელ ერის შორის.

ამ უკანასკნელად საქართველოს დიდი განსაძღვლის კამსად გერმანია, ყველა წრეები გერმანიის, კვლავ დიდი თანაგრძნობით ეკიდება ჩვენს ხალხს და მისი დამოუკიდებლობის აღდგენას.

ვერავითარი კავშირი მოსკოვთან, ვერავითარი დროებითი მოთხოვნებიდან პოლიტიკური მომენტის და სხვ. ვერ წაშლის ამ საერთო სურვილს მთელ გერმანელ ერისას. შეიძლება აქ იყოს და, ჩვენ გვწამს, რომ არის დიდი და ღრმა ეკონომიური ინტერესები, დიდი ისტორიული მიზნები და მისწრაფებანი—განაძღვრათელი, მაგრამ ამ ქაშათ ამათ ახსნა-გამოკვლევას ნუ შევედგებით. ჩვენ მივიღოთ ფაქტი იმ სახით, როგორც ის არის და აქედან გამოვიყვანოთ დასკვნანი.

საქართველოს ხალხის წარმომადგენლების კ. ჩხეიძის და ნ. რამიშვილის ჩამოსვლა გერმანიაში კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთია ამ განმეორებული სულიერი ძღვის სიმძლიერის.

1 ივლისს ბერლინის ერთ დიდ დარბაზში გაიმართა კონფერენცია დამოუკ. ს.-დ. პარტიის ბერლინის და მისი მიდამოების პასუხისმგებელ მოღვაწეების და დეპუტატების, რომელზედაც მიიწვიეს და მოუხსნიეს საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტიის წარმომადგენლებს ჩხეიძეს და რამიშვილს.

კრების გახსნის შემდეგ თავმჯდომარე ამხ. კრილუმ ესალმება საქ. სოც.-დემ. და ხალხის წარმომადგენლებს და მოაგონებს დამსწრეთ ჩხეიძის ბრძოლით სავსე წარსულს.—

შემდეგ ილაპარაკეს ჩხეიძემ და რამიშვილმა, რომელთაც ვანუშარტეს კრებას საქართველოს ელანდელი მდგომარეობა და მისი საქროე-ბანი. კ. ჩხეიძეს მხურვალე თანაგრძნობით და ტაშით შეეგებენ. მის შემდეგ ილაპარაკა რამიშვილმა და თავის სიტყვა ასე დათავა: «საქართველო, რომელიც ასეთი ენერგიით იბრძოდა ცარიზმის წინააღმდეგ კიდევ უფ-

რო მეტის ენერგიით შეებრძოლება ახალ მოვლენილ მოძალადეებს. ჩვენი პარტიის კრებამ თფილისში 10 აპრილს მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც მოითხოვს მიეტყეს საშვალედა საქ. მშრომელთა მასსებს გამოსთქვან თავის ნებისყოფა თავისუფალი კენჭის სრის საშვალე-ბით, რომელიც უნდა მოხდეს ვერტოპის სოც. და კომუნისტების საერთაშორისო შერეულ კომისიის კონტროლის ქვეშ. ჩვენ ვვლით, რომ თქვენ მხარს დაუჭერთ ამ მოთხოვნას; აღიმაღლეთ ხმა და ჩვენთან ერთათ, მთელ ქართველ ხალხთან ერთათ მოსთხოვეთ მოსკოვის მთავრობას,—რომ მან გაიყვანოს თავისი ჯარები საქართველოს საზღვრებიდან და მით შეძლება მისცეს ქართველ ხალხს თავისუფლად და დამოუკიდებლად გადასწავიტოს თავის ბედი. (მხურვალე ტაშით და თანაგრძნობის წამოძახილი). შემდეგ კრებიდან მრავალი კითხვები წამოაყენეს, რომელზედაც დაწვრილებით გასცეს პასუხი ჩხეიძემ და რამიშვილმა.

საბოლოო სიტყვაში კრ. თავმჯდომარემ ამხ. კრილუმე განაცხადა: მართალია, აქამდე ჩვენ არ გვექონია შემთხვევა ასე აშკარათ და ნათლათ დაგვენახა პრაქტიკულთი კომუნისტების დაპრობითი პოლიტიკის შედეგები, მაგრამ ბლოშევიზმის თეორიებმა გამოიწვია ჩვენს შორის გარკვეული უარყოფითი დამოკიდებულება როგორც ამ თეორიებთან ისე მოსკოვთან. ამხ. კრილუმე აღნიშნა, რომ კრება ერთხმათ და ერთსულოვნათ იზიარებს საქ. ს.-დემ. თვალსაზრისს, რომ მოეთხოვოს მოსკოვის საქართველოდან თავის ჯარის გაყვანა. (დიდი და ხანგრძლივი ტაშისცემა მთელი კრების). ვარწმუნებ და საქართველოს მუშ. წარმომადგენლებს, რომ გერმანიის პროლეტარიატი მხურვალე თანაგრძნობით ეკიდება ქართველ ხალხის ბედს და არ დაიშურებს მისთვის დახმარებას, კრებას დახურულთ ვაცხადებ. (ხანგრძლივი ტაშით და ერთსულოვანი ოვაციები წარმომადგენლების მიმართ).

5 ივლისს ჩხეიძე და რამიშვილი დაესწრენ გერმანიის სოც.-დემ. პარტიის (უმრავლესობის) პასუხისმგებელ მუშაკთა და დეპუტატთა კრებას. ქართველი ხალხის წარმომადგენლებს დამსწრენი მხურვალე ტაშისცემით და ოვაციებით მიეგებენ.



პირველათ კრებას მიმართა საქ. ს.-დ. და ხალხის სახელით კ. ჩხეიძემ. მისი სიტყვის ყოველ წინადადებას ძლიერი ტაშისცემით აწვევებინებდნენ, თან გაიხმოდა საქართველოსადმი თანაგრძნობის სიტყვები. კ. ჩხეიძემ აღნიშნა ის განუწყვეტელი იდეური და მორალური კავშირი, რომელიც მუდამ არსებობდა გერმანიის და საქართველოს ნორჩ მუშათა მოძრაობის შორის და რომელშიც გერმანიას ეკუთვნოდა დიდი მასწავლებლის როლი პატარა საქართველოსთვის. შემდეგ მან მოკლეთ დაასურათა მოთავარი ეტაპები საქართველოს მუშათა კლასის ბრძოლისა ცარიზმის წინააღმდეგ და რევოლუციის შემდეგ დამოუკიდებლობის და დემოკრატიზმის დასაცველად. დაახასიათა ბოლშევიკების თავდასხმა და ის რვევა-დანგრევის სურათი, რომელსაც წარმოადგენს დღევანდელი საქართველო, კომუნისტების მხევილი დაპყრობილი...

თავის სიტყვა კარლო ჩხეიძემ ასე დაათვა: «ახლა თქვენ თვით გასინჯეთ, შეუძლია საქართველოს, რომელიც ასე წინ წავიდა სოციალიზმის განხორციელების გზაზე, შეურიგდეს ბოლშევიკების უხეშ ტერორს და უცხო, ნახევრათ ველური, ვაჩაღური ჯარის ბატონობას, იმ ჯარის, რომელმაც წერა-კითხვაც არ იცის! (კრებამ ამ სიტყვებზე ენერგიულათ შემოსძახა: არა, არას შემთხვევაში.) დიახაც რომ არა, უკასუხებს კარლო ამ გამობახილზე, ქართველი ხალხი არასოდეს არ შეურიგდება ამ მოძალადეების რეჟიმს (ძლიერმა «ვაჟამ» იგრილა დაძახაში); ჩვენი მუშათა კლასი სწიადი გახდა ამ ბრძოლაში და ის შეუპოვრათ განაგრძობს ბრძოლას, სანამ არ გადაიძრობს ამ უხეშ ულულს ისე, როგორც წინეთ გადაიძრო უღელი თვითმპყრობელობის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გერმანიის სოც.-დემოკ. ამ ბრძოლაში გარკვეულ პოზიციას დამკავებს და არ დაიშურებს იმ მორალურ დახმარებას, რომელსაც ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. გაუმარჯოს გერმანიის სოც.-დემ., გაუმარჯოს სოციალიზმს». (ხანგრძლივი და ძლიერი ტაში).

მოისმინეს და ხანგრძლივი და ხშირი ტაშით დააჯილდოვეს.

გერმანიის სოც.-დემ. სახელით აშხ. კრიუგერმა განაცხადა, რომ ქართველი ამხანაგები დარწმუნებული უნდა იყვნენ იმაში, რომ გერმანიის სოც.-დემ. მხურვალე სიმპატია ერთიანათ მათ მხარეზეა. მართალია, განაცხადა მან, ჩვენ სურვილი გვაქვს კეთილ-განწყობილება ვიქონიოთ რუსეთთან და თვით საბჭოთა რუსეთთანაც კი, მაგრამ მიუხედავათ ამისა ჩვენ აშკარათ და პირდაპირ უნდა განვცხადოთ, რომ სასტიკი წინააღმდეგი ვართ ბოლშევიკურ მეთოდების და ბოლშევიკებზე ძალიან ადრე დარწმუნდებინ; რომ მათთვის აუცილებელია არა მარტო უცხო კაპიტალის დახმარება თავის ქვეყნის წარმოების აღსადგენათ, არამედ აგრეთვე საერთაშორისო პროლეტარიატის სიმპატიის მოპოვებაც. მთელი კრება ერთხმათ ტაშისცემით ადასტურებს თავმჯდომარის სიტყვებს და ხელახლა უმართავს ოცავიებს ჩვენს წარმომადგენლებს.

გერმანიის პრესაში დიდი ინტერესია საქართველოს საკითხის გამო. თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთებში შეხედებით წერილებს საქართველოს შესახებ, სადაც მისდამი სიმპატია და თანაგრძნობა გამოსუქვივის. მაგ. დავახსენებ ისეთ სერიოზულ ჟურნალს, როგორც არის დამოუკ. სოც.-დემ. ჟურნალი «სოციალისტი», რომელიც უკ დაწერილებით არის აწერილი რუსეთის ჯარის ჩვენში შემოკრის ისტორია; დავახსენებ აგრეთვე ცნობილ ეკონომისტის დამაშკეს რედაქტორობით გამოსულ «აგარული რედორმის წლიურს», სადაც გარჩეულია ჩვენი აგარული რედორმა და დამტყდლი სრული თარგმანი ჩვენი აგარული კანონებისა...

როგორც ხედავთ, გერმანიის ხალხი, სოლიტარკური წრეები, მეცნიერები, ცვლანი და ინტერესებულნი არიან საქართველოს მუშაობის, მისი ნამოქმედართ, მისი მომავალი ბედით...

ფრანკფურსში-გაინდა.

(გენის ინტერნაციონალის ბიუროს სქდობა)
 ვენის ინტერნაციონალის ბიუროს დაავლებული ჟინდა წინა კონფერენციისგან საქართველოზე თავდასხმის საკითხის შესწავლა და სათანადო რეზოლუციის შემუშავება და ამ საგანზე ბიუროს კრება უნდა მომხდარიყო 8 ივლისს.



უნდა აღინიშნოს, რომ უგრძობ წოდებული 21/2 ინტერნაციონალი შეიცავს რამდენიმე კომუნისტურ ჯგუფებსაც, როგორცაა რუსეთის შემოკრებულ ესერები და სხვა ასეთი ჯგუფები და საერთოდ ამდენხანს მოსკოვის ინტერნაციონალის ერთგვარ გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა სრული იმედი იყო, რომ საქართველოს საკითხში ისინი ჩვენ საყვებით დაგვიუბრუნდნენ მხარს. მით უმეტეს, რომ ყველა დიდი და მნიშვნელოვანი პარტიები, რომელიც შედიან ამ ინტერნაციონალში, როგორც მაგ. საფრანგეთის, ავსტრიის, გერმანიის, შვეიცარიის უკვე გადაჭრით ჩვენს მხარეზე იყვნენ.

ბიუროს სხდომაზე ფრანკფურტში გაემგზავრენ ნ. რამიშვილი და კ. ჩხეიძე. რადგან საქართველოს სოც.-დემ. ოფიციალურად შედის მე-2 ინტერნაციონალში, ამიტომ ისინი დაშვებულ იქნენ ბიუროს სხდომაზე მხოლოდ საქართველოს საკითხის განხილვის დროს. მათ მართლაც გააკეთეს მოხსენება, რომლის შემდეგ მიიღეს შეკითხვები: სხვათა შორის აბრამოვიჩი შევეითა თუ რა ტაქტიკას ვადავიართ ბოლშევიკების მიმართ. თავმჯდომარე ლეგებრმა დააჩუქრა კარტესტი განუცხადა მას; არაღებულად მდგომარეობაში მყოფ პარტიისათვის მანარიჩ საკითხის დასმა არ შეიძლება. მაგრამ ჩვენმა წარმომადგენლებმა შინც საკითხით სცვენეს განუცხადებიათ შემდეგ: საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა შეიარაღებულ ექსცესებს და პარტიზანულ გამოსვლებს ადგილი არ უნდა ექნეს, ვინაიდან თვით ბოლშევიკები ექებენ საპროფკაცო მიზნებს, რომ ხალხი გაკლიტონა. ფრ. ადლერი შევეითა ანტანტასთან დამოკიდებულებაზე. ჩვენებმა გადაჭრით განაცხადეს, რომ რეაქციის იარაღით ვერავითარი ანტანტა ვერ გავხდის, და ყოველთვის მიიღებს ისეთსავე უარს, როგორც დენიკინის ბატონობის ეპოქაში მიიღო.

აქვე აღსანიშნავია, რომ სხდომაზე შემოატყენეს ესერების წარმომადგენელი შრეიდერი შენო იბას, რომ საქართველოში არ იყო მოსპობილი სიკვდილით დასჯა, და განაცხადა, რომ საქართველოს ამბები—ეს ბოლშევიკების შევეითა შეუცხებება—მეტი არაფერია. პარტიულ კოლეგიაზე ჩვენმა წარმომადგენლებმა უარი სთქვეს, ხლო შრეიდერს არსებითად

საკადრისი პასუხი გასცეს. მათ შემდეგ, მთავრად, დერს ტარტე სიტუციით უპასუხა ჟან ლონგემ.

დამოლოს ბიუროს გამორჩენა ნიშნავს, რომელიც აქვე მოგვაცხად. სრული იმედი გვაქვს, რომ დღეიდან ვენის ინტერნაციონალიც კიდევ უფრო დამოუკიდებელი მოსკოვის და მეტი აქტიური დამცველი შეიქმნება საქართველოსი.

ჩვენს მოლოცვა

მიღებული გრძობა ვენის ინტერნაციონალურ ბიუროს მიერ ფრანკფურტში იანვარს 1921 წლის.

სოციალისტურ პარტიათა ინტერნაციონალურ კონფერენციაზე ვენაში (1921 წ. თებერვლის დასასრულს) მიღებულ იქნა პირველი ცნობა ბოლშევიკების ჯარების საქართველოს რესპუბლიკაზე თავდასხმის შესახებ. კონფერენციამ მიანდო აღმასრულებელ კომიტეტს «საქმის გამოტყვევა და მისდამი თავის დამოკიდებულების განსაზღვრა».

სოციალისტურ პარტიათა ინტერნაციონალურ ბიუროს კრება ფრანკფურტში-მაინზე, 9 ივლისს, აღსრულდეს, რომ იმ მასალებს მიხედვით, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა როგორც ქართველების, აგრეთვე ბოლშევიკების მიერ და საქართველოს წარმომადგენელთა (ჩხეიძე და რამიშვილი) სიტყვიერი განცხადების შემდეგ, რომ მართლაც ადგილი ჰქონდა ბოლშევიკურ ჯარების თავდასხმას, რომელიც გამოწვეული იყო წმინდა მილიტარისტულ-სტრატეგიული მიზნებით. ამანათ, უკვე არსებობს ყველა საბუთები, რომლებიც თანახმა ვენის ინტერნაციონალის კონფერენციისა, საყვებით აბრამოვიჩს მხოლოდ პროლეტარიატის პროტესტს ამ თავდასხმის წინააღმდეგ.

საქართველოდან ბოლშევიკური ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა და ქართველი ხალხის მიერ უცხო ძალთა გავლენის გარეშე თავისუფალი ნების-ყოფის გამოთქმა თავისი მთავარი ბედის გადასაწყვეტად წარმოადგენს სოციალისტური სპარტანობის თვალსაზრისით თავის თავად საგულისხმო მოთხოვნილებას.

ს.-დ. პარსნიკი პროკაუი.

ბრიტანის მუშათა პარტიის წევრები. უკვე კონგრესი უკვე დასრულდა. ჩამდენიმე საკითხთა შორის, რომელიც დატენებული იყო ამ კონგრესზე ჩვენ ვეხადეთ საკითხს საქართველოს შესახებ, რომელიც ისევ ერთსულოვნებათ გადაწყვედა მოსკოვის წინააღმდეგ და საქართველოს სასარგებლოდ.

F 8343

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა



მკითხველს მოეხსენება, რომ ბრიტანის მუშათა პარტია წარმოადგენს ფედერატიულ ორგანიზაციას, რომელშიაც შედიან სოციალისტური პარტიები, ერთი მხრით და პროფესიონალური კავშირები, მეორე მხრით.

დიდი ეკონომიური ბრძოლა გამოიარა ამ კონგრესის წინ ინგლისის მუშათა კლასმა და შედეგები დიდი ენერჯის დახარჯვისა ამ ბრძოლაში აშკარათ ემჩნეოდა კონგრესის მუშაობას.

მაგრამ ერთი დიდი პროგრესული ნაბიჯი ნათლათ ეტყობოდა ამ კონგრესს. იგი ერთიანთ დაადგა პოლიტიკური ბრძოლის გზას, მან გაითვალისწინა მთელი მნიშვნელობა ინგლისის მუშებისთვის საერთაშორისო პოლიტიკის ინგლისის მუშების განზე დგომა, — ამიერიდან დამძლეული ფაქტია, ინგლისი იზიარებს ევროპის ბედს და ინგლისის მუშები უფრო მტკივნეულათ გრძნობენ დანარჩენ ევროპის მუშათა ბედთან თავის ბედის გადაკუდობას.

აქედან წარმოსდგება მათი დანიტერესება საერთო პოლიტიკური საკითხებით. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ინგლისის მუშათა პარტია თავის 4¹/₂ მილიონი წევრით, დღეს, როგორც ამბობს, ფ. სნოუდენი, ყველა მისი მოწინააღმდეგეებისაგან აღიარებულია როგორც ერთადერთი სერიოზული პრეტენდენტი დღევანდელი კვალისკურთ მთავრობის მემკვიდრეთად ვახდამის, ე. ი. როგორც ერთადერთი პარტია, რომელსაც შეუძლია ჩამოართვას ლოიდ ჯორჯს პორტფელი სახელმწიფო მართველობის, მაშინ ჩვენთვის აშკარა იქნება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ამ პარტიის დამოკიდებულებას საქართველოს საკითხთან და საერთოდ მთელ მათ პოლიტიკას.

ამ მხრივ ჩვენთვის ამ ქაშათ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მათი დამოკიდებულება მოსკოვთან და კომუნისმთან, რომელიც, ეუბი არაა, უარყოფითია. გარდა საქართველოს შესახებ რწნოლიუტისა, ამ საკითხს კარგათ აშუქებს მეორე საკითხიც, რომელიც დღის წესრიგში იდგა და ყველაზე მეტი კამათიც გამოიწვია კონგრესზე. ეს იყო კომუნისტური პარტიის მიღება ფედერაციაში. საქმე შემდეგშია: ინგლ. მუშათა პარტიაში შედიოდა დამოუკიდებელი სოც.-პარტია, ყველაზე მეტივე წევრთა რიცხვით და გავლენით. ამ პარტიამ მიიღო მოსკოვის პროგრამა, შეუერთდა მოსკოვის მესამე ინტერნაციონალს და გამოაცხადა სახელიც: გადაინათლა კომუნისტურ პარტიათ, და აი ამ ახალი სახელით და პროგრამით მოისურვა მუ-

შათა პარტიაში შემოსვლა. აღმასრულებელმა კომიტეტმა ამაზე უარს უთხრა. საკითხი გადატანილ იქნა კონგრესზე. მაგრამ კონგრესმა საესებით გაიზიარა ის აზრი, რომ კომუნისტების მიზნები და მეთოდები იმდენათ განსხვავდებიან მუშათა პარტიის მიზნებისა და მეთოდებისაგან, რომ მათი ერთათ მოთავსება შეუძლებლათ იქნა აღიარებული. 4.215,000 ხმით 224,000-ის წინააღმდეგ ახლათ გაკომუნისტებული პარტია არ იქნა დაშვებული მუშათა პარტიაში.

საერთო, სწერს ფ. სნოუდენი, ყრილობაზე «აშკარა შეიქნა, რომ ყველი გრძნობები, რომელიც იწვევდა ინგლისის მუშების მხრივ რუსეთის კომუნისტურ მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრების უარყოფას, სანამ მას თავს ესხმოდენ მოკავშირე სახელმწიფოები, დღეს სრულიად გაქრა, და ახლა არავის ააჩსურს რაიმეში სოლიდარობა დასწამონ ლენინტროციკის სამოქმედო მეთოდებთან. ეს გრძნობა კონგრესმა გამოხატა აღმ. კომიტეტის ახალ არჩევნებშიც. რომეტი ვილიამსი, აღმ. კომ. წევრი, რომელიც ბრიტ. კომუნისტების თანამგრძობი იყო; გააშავეს; ხოლო ქ-ნი სნოუდენი, ჩვენში ჩამოსულ სოციალისტურ დღემდეღევატიის წევრი, ბოლშევიკების სასტიკი მოწინააღმდეგე — აირჩიეს 50¹/₂ მეტი ხმით, ვინემ წინა არჩევნებში.

ამ რიგათ ანტი-კომუნისტობა და გადაქრით დადგომა პოლიტიკურ ასპარეზზე, როგორც მუშათა კლასის უმთავრეს საბრძოლველ ასპარეზზე, აი რა არის დამახასიათებელი თვისება დღევანდელი ინგლისის უძლიერესი პარტიის, რომელიც სახელალოთ მოვლის ინგლისის მართველობის სადავის ხელში აღებას...

«ბრიტანიის მუშებმა მემკვიდრეობით მიიღეს ტრადიციები პოლიტიკური თავისუფლების და დემოკრატიული მეთოდებით მოქმედების. და რადგან ეს პარტია ხდება ინტერნაციონალური და ბრატანის იმპერიაში ყველაზე გავლენიანი, იგი ეუბი არაა; გაუწვეს ხელმძღვანელობას ევროპის სახელმწიფოთა დემოკრატებს და უჩვენებს საერთაშორისო მოქმედების იმ უმთავრეს გზას, რომელსაც შეუძლია ძველ მთავრობათა უგურთი პოლიტიკით შექმნილ საშინელ მდგომარეობიდან გააიცივანო განათლებული კაცობრიობა... ფ. სნოუდენის ამ ინტენციებით ხასიათდება ახრი და მნიშვნელობა ინგლისის მუშათა კონგრესის. ჩვენ მეტს არას დაეუმატებთ.



შიმშილობა.

ყოველად წარმოუდგენელი და კალმით აუწყრელი უბედურება მოელის რუსის ხალხს. ის წამება და სასტიკი გაკვირება, რაც მან ამ სამი წლის განმავლობაში განიცადა და დღესაც განიცდის, ეს არარაა იმასთან შედარებით, რაც მას ზვალ მოელის. ყოველათ უტიფარი და უსულგულო კომუნისტები და მათი გამბედებული ხელმძღვანელები კი თრთიან მომავალი სტიქიური საშიშროების წინაშე.

ეს საშიშროება—ისტორიაში უმაგალითო შიმშილობაა. პურით ყოველთვის მდიდარ ვოლგის ვარშემო და ჩრდილოეთ კავკასიაში საშინელმა გვალვამ პურის მოსავალი სრულეებით მოსპო. 1892 წლის შიმშილობა მკრთალი მოგონებაა ამ წლის შიმშილობასთან შედარებით.

დიდი ხნის უწყიმრობის და საშინელი სიციხეების გამო მიწა დასკდა, ხეებს ფოთლები დასცივდა, ბევრ ალაგას ტყეები და ზოგან მთელი სოფლები გადაწვა ცეცხლმა, ღელეები და პატარა მდინარეებიც კი დაშრენ.

25 მილიონ მცხოვრებს შიმშილით სიკვდილი მოელის. და ეს ინსტიტუტურათ იგრწო ხალხმა, რომელიც თავმჯდომარეობაში ვარშის მამაკაპურ ნაჩვევ ადგილიდან, ვარშის დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მთელი სოფლები, იყრებიან და მიდიან, საით თვით არ იციან, მაგრამ მაინც უნდათ გაშორდენ მომავალ სასაფლაოს. გზაში იკვებებიან ხის კანით და იქა-აქ დარჩენილ ბალახით. მეზობელ გუბერნიის სოფლებმა ყარაულები დააყენეს გზებში, რომ შვიტრმა ლტოლვილებმა არ მოსპონ ჯერ მოუშალი ყანები. ამას თან დავრთო ზოღერა და სხვა ვადრდები ავთამყოფობა, რომელიც შეუბრალებლათ ელეტს მით და აპასთან ერთად ვრეკლდება იმ მხარეებშიდაც, სადაც კი ლტოლვილები გამოჩნდებიან.

ასეთი მდგომარეობაა ჯერ-ჯერობით შემდეგ გუბერნიებში: უფის, სარატოვის, სამარის, სიმბირსკის, ვიატკის, პერმის, ყანანის, პენზის, ასტრახანის, ნაწილობრივ დონის ოლქში და ჩრდილოეთ კავკასიაში, თათარსა რესპუბლიკაში, ჩუვაშების ოლქში.

შიმშილით ამოკლებდა მოელის არა მარტო მცხოვრებლებს, ახამეტა პირუტყვებსაც. დონის ოლქში, სტავროპოლის გუბერნიისა და ნაწი-

ლობრივ ყუბანის ოლქში უკვე დღესაც ადრე არის საქონლისათვის საზრდო.

ზორკის ფსმა ძლიერ დაიწია, რადგან მცხოვრებლები შიმშილის მოლოდინში თვით ზოცავენ პირუტყვებს და გამოაქვთ ზანახე. პურის ფასი სამარის გუბერნიისაში 3—4 ჯერ მეტია ზორკის ფასზე. 3—4 ფუთი პურით იციდი ცხენს.

ამ უბედურების დასახასიათებლათ მოვიყვანთ ციფრებს მხოლოდ სამარისა და სარატოვის გუბერნიების შესახებ: ამ ორ გუბერნიისაში სულ 7 მილიონი მცხოვრებია, მთ, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ (22 ფუთი სულზე წლიურათ), დასკირდებათ 154 მილიონი ფუთი პური, ამ წლის მოსავალი კი ამ ორ გუბერნიისაში არ აღემატება 30 მილიონ ფუთს, მაშასადამე ხალხის შიმშილიდან გადარჩენისათვის მარტო ამ ორ გუბერნიისათვის საჭიროა 124 მილიონი ფუთი პურის მიტანა.

ყველა ეს ცნობები მოყვანილი გვაქვს ჩვენ ბოლშევიკური ორგანოებიდან (ნოსკ. პრავდა № 135, 136, 138, ეკონომიური ცხოვრება 140 და სხვ).

კრემლის თვითმპყრობელები არ მალავენ ამ ნაყოზალურ უბედურებას. «წით. გაზეთის» № 134 მოთავსებულაა ლენინის მოწოდება გუბერნიებისა და ობლასკომების მიმართ.

«მთელ რიგ გუბერნიებში მოუსავლობის გამო რესპუბლიკის სასურსათო მდგომარეობა ძლიერ მძიმეა. ალაგი აქვს ფასის აწევას სასოფლო სამეურნეო სანოვაგეზე, პირიქით ეცემა ფასი საქარხნო ნაწარმოებზე. ამიტომ ახლა დიდი იმედების დამყარება საქონლის გაცვლაზე და გადასახადის მეორე ხარისხოვან საქმეთ აღიარება უნდა ჩაითვალოს დიდ დანაშაულათ. სასურსათო კრიზისის გადასაჭრელ მოავარ საშუალებათ უნდა ჩაითვალოს ნატურალური გადასახადის რიგინათ და თავის დროზე გადახდვივინება».

«პროუნალოგის» დროზე შეკრება გაზეთ «პრავდა»-საც (24 ივნისი) ერთად-ერთ საშუალებათ მიანია, რადგან «ოქროთი პურის საწლვარ-გარეთ ყიდვის იმედი არ არის», ვინაიდან რუსეთის «ოქროს ფონდი, ისედაც ძლიერ მცირე, დღით დღე ილვეა. ახალი ოქროს დამუშავება კი ძლიერ საშუებარო მდგომარეობაშია. იმედის დამყარება მარტო საწლვარ-გარეთ ყი-



დგანე—ეს დიდი დანაშაულობაა». (პრავდა 24 ივნ.). მაგრამ «პროდნალოვის» შეკრება დამშუღლ გლეხებს მართლა გამოადგება?

კონობო კომუნისტი კამუნევი მოსკოვის საბჭოს პირიქით უმტკიცებს, თუ რა დიდ საყიროებას წარმოადგენს დამშუღლი სოფლებიდან «პროდნალოვის» სახით პურის გამოსიღვა «მოსკოველ 20 ათასი პროლეტარის გამოსაკვებით». «როდესაც ამ 20,000 მეუხას დიდღებრიკაზე ეტოლინება, რომ ისინი უზარუნველყოფილი არიან, რომ მათ შეუძლიან დამშუღლდებულნი იყვნენ თავისთავადის მდგომარეობის შესახებ, მაშინ ჩვენ გვეკლება ის პარტია, რომლის საშუალებითაც ჩვენ ვავიზარჯებთ». (პრავდა 30 ივნისი).

ამათ გარდა გლეხებიდან შექმნილი პური მათ უნდათ წითელი არმიელების გასაძორობათ. და ასე თავის ბატონობის შესანარჩუნებლათ.

ცხადია დამშუღლები ღვთის ანაბარაა მიტოვებულნი. ამას გრძობს ხალხი და თვით ეძებს გამოსავალს—აი ამიტომ არის რომ ადგილებიდან დაიჭრა გლეხობა და მიღის სხვა და სხვა მხარეებისაკენ. გლეხებს აყვა მუშებიც. ისინიც ტოვებენ სამუშეირებს და გარბიან. დიდი პანიკაა ქალაქებსა და საწარმოო ცენტრებში. დონის ოლქში შიმშილობით დაშინებულმა მუშებმა თავი დაანებეს მუშაობას და 70 მაღაროდღეს შეჩერებულია (პრავდა 24 ივნისი).

ხალხის წინაშე აღიპართა შიმშილით სიკვდილი ცელით ხელში.

შველა რომ არ ძალუქთ, ეს თვით კომუნისტებმაც იციან და სწორეთ ამით არის ხედავ, რომ მათი წინადადებით მაქსიმ გოპკიმ და პატრიარქმა ტიხონმა ცრემლ-გარეული წინადადებით მიმართა დახმარებისათვის—იკით ვი?—ბურჟუაზიულ ქვეყნებს.

ამითვე აისწება, რომ ბოლშევიკები იქულებული ვაზდენ ნება დაერთოთ ძველი საწოვადო მოღვაწეებისათვის დამშუღლი «დამხმარე კომიტეტის» დაარსებისს. ამ კომიტეტში შედიან: პროკოპოვიჩი, კიშკინი, კურკოვა და სხვები.

როგორ და რაწარათ შესაძლებენ ესენი დახმარების მოწყობას, თუ ძირიანათ არ შეიცვალა ბოლშევიკური წყობილება, ძნელი სათქმელია.


საინტერესოა, რომ ამუხრეკლებმა, რომელნიც კარგათ არიან გაცნობილნი რუსეთის მდგომარეობას, აღუთქვეს დახმარების მოწოდება მოლოდინში პირათ, თუ იქნება არა მარტო კანტროლი მათი მხრივ, არამედ თუ თვით რუსეთში შესდგება რაიმე წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ღირსი იქნება ნდობის და პასუხისმგებელი თავის მოქმედებაში.

გზიკრა აზიათ.

(ქემალის და ბერძნები)

ჩვენს მეოთხეელს ეჭვი არაა ანტერესების ამბები, რომელნიც ოსმალეთის გარშემო ტრიალებენ, განსაკუთრებით ქემალის და საბერძნეთის ომები. მართლაც ეს საკითხი მეტათ საყურადღებოა და ამიტომ ჩვენ გვინდა შევაწოდოთ მეოთხეელს ზოგიერთი ფაქტიური მასალა. მთავლილი ომის დათავების შემდეგ ცნობილმა სეგრის ხელშეკრულებამ ოსმალეთის სამეფო უკიდურესამდე დააბატარა. მას ჩამოაშორეს არაბეთი, პალესტინა და მესოპოტამია, რომელიც ინგლისის ვაგენის ქვეშ დარჩა, და ამით ოსმალეთი მოსწყვიტეს სპარსეთის ზღვას. ხოლო ჩველათ შუა ზღვას, და არქიპელაგს მოაშორეს, პალესტინის გარდა, კლივიკის ჩამორთმევით, რომელიც საფრანგეთს უკავია, ალალით, რომელიც იტალიამ მოისაკუთრა და სმირნის და ბრუსის რაიონით, რომელიც ბერძნებს მისცეს. თუ ამას დავუმატებთ იასაც, რომ აღმოსავლეთით მას ჩამოაშორეს სომხეთის ვილაიეტები, ხოლო კონსტანტინეპოლში მოკავშირენი გამატონდნა და სრუტეები თავისუფლად ადგილათ გამოაშაადეს, მაშინ ენახათ, რომ ოსმალეთი, რომელიც დღეს ფაქტიურათ ქემალს ექვემდებარება, შესდგება მკირვ აზიის შიდა ნაწილებისა და შავი ზღვის ნაპირებიდან. სტამბოლის გარშემო საკმაო დიდი ზონაც ნეიტრალურ ზონათ არის გამოცხადებული.

კონსტანტინეპოლში მდგომარეობა სულთნის და მისი მთავრობის უფრო ტყვეს მდგომარეობას, ვინც მმართველის. მას არავინ არც რამეს ეკითხება, არც ეჭვს უდგებს. ამ რიგათ ფაქტიური ოსმალეთი—ეს ქემალის ოსმალეთია, რომელიც აზიშია გატორცილი. და აი ეს უკანასკნელი ცდილობს ახლა ომით და ღიპლამბატორი საშუალებითაც გამოასწოროს საქმე და რაიმე დაიბრუნოს. აღმოსავლეთის მხრივ, როგორც იცით, მან რამდენიმე მილწინა კიდევ მიწანს, ყოველ შემთხვევაში ფაქტიურათ ჩაიგდო ხელში სომხეთის ვილაიეტები და გააფართოვა კიდევ რამდენიმე თავის საზღვრები ამიერ კავკასიის რესპუბლიკების ზარჯზე. მაგრამ მისი საქმეები ვერ მიღის დასავლეთის



ფორტზე ისეთივე წარმატებით. აღვნიშნავთ ამ მხრივ უკანასკნელ ამბებს საბერძნეთის და ქემალისტების ომისას: ეს ომი რამდენიმე თვეა წარმოებდა. პირველათ ბერძნები თითქმის ზღვის პირამდე იქნენ მიყვანილი, რომლის შემდეგ მოკავშირეები ერთი გზობა დაადგნენ დათმობის პოლიტიკას ქემალის მიმართ და ივლისის დამდეგს საზაფო წინადადებაც კი მისცეს ბერძნებს, რომ მას დაეთმო სმირნის ვილაიეტი და სხვ. მაგრამ ერთი რომ თვით მოკავშირეებში არ იყო სრული თანხმობა და როცა წინადადების მიცემა დაუპირეს ბერძნებს, უნდა შეუთრგდეს ქემალის, თან დასძინეს, თუ არ მიიღონ ბერძნებმა ეს წინადადება თვითიული მოკავშირე სახელმწიფო ისე მიიქცევა, როგორც საჭიროთ დაინახავს. ამის შემდეგ საკვირველი არაა, რომ ბერძნებმა თავაზიანი უარი უთხრეს რომ მოკავშირეებს. და ამ ომი ისევ გახანხლდა. პირველ დღეებში ქემალის ჯარი მედგრათ უტევდა ბრუსის რაიონში და იზმიდის ახლო, რომელიც კონსტანტინოპოლს აკრავს და ერთხანს ქონდით კიდევ გაზარდებდა. მათ აიღეს იზმიდი და დაუახლოვდნენ სტამბოლის ნეიტრალურ ზონას, ერთი შეხედვით აპირებდნენ კიდევ ნეიტრალურ ზონაში შემოქრას. ინგლისში გახვთები მოაფრბას შეკითხვას უწერდნენ, რით აპირებს მოაფრბა კონსტანტინოპოლის დატყვას და ინგლისის ინტერესების უზრუნველყოფას. მალე ამის შემდეგ, ეჭვი არაა ინგლისის იარაღით და მოქობილობით, საბერძნეთში დაიწყო შეტევა. დღეს, როცა ეს ცნობა იწერება, ბერძნებს აღებული აქვთ უკვე მოაფარი გამაგრებული ადგილები, კუტახია, ესკიში, რომელიც რკინის გზის კვანძს წარმოადგენს ანგორასა და სტამბოლს შუა, ე. ი. ის ადგილები, სადაც ამ რამდენიმე თვის წინათ წაიტეხეს ფეხი ბერძნებმა. ეს მოაფარი სიმაგრეები ანგორაზე 60 ვერსითაა დაშორებული.

მრავალი მხრიდან მოდის ცნობა, რომ ბოლშევიკების ჯარები უნდა მოეყვლონ მალე ქემალს ბერძნების წინააღმდეგ. თუ ეს გამართლდა, მცირე ანა საერთაშორისო ბრძოლის ახალ კენაშთ გადაიქცევა, რადგან მაშინ მრავალ სახელმწიფოთა სერიოზული ინტერესები იქნება არსებითად საფრთხეში ჩავარდნილი.

„დამოუკიდებელი“ აფხაზეთი.

«წითელმა» რეჟიმმა სსსრ-ში აღადგინა საქართველოში ცარიზმის მეთოდები და საშვალეები ერთა გათიშვის და დაქუცმაცების. მან პირველ-ყოვლისა დაიწინა ქართველი ერის ორგანიზმი იმით, რომ ჩამოსურა მას მისი ორგანიზული ნაწილები ბორჩალოში, სადაც გლეხები, თვით რუსის სოფლებშიაც კი საქართველოსთან ყოფნას თხოულობდნენ, ჩამოაქრა ფაქტიურად აქაბა, არაა გორის მანარს ცხინვლის რაიონის და «ნასტრატევიკალების» და ნაპრისტავალების» გულისხმების—დაბოლოს ჩამოაკლდა აფხაზეთი, სადაც ორი წილი მტხოვრებლებისა, თუ მეტი არა ქართველი ტომისანი არიან და სადაც გრძნობა საქართველოსთან განუტრედალ ყოფნისა ძლიერი იყო იმ ეკონომიურ-პოლიტიკური კავშირის გამო, რომელიც არის მოავარი შემაკავშირებელი ძარღვი სახელმწიფო სხეულის.

ჩვენ ამ წერილში გვინდა მოვეთხროთ მკითხველებს ამ უკანასკნელზე, ე. ი. აფხაზეთის ჩამოშორებაზე.

წითელ არმიის შემოსევის პირველ დღეებშივე ბათომში შეგროვილა სამმა აფხაზმა ბოლშევიკმა ვილაც ეშბას მეთაურობით და ორმა ქართველმა კომუნისტმა აფხაზეთის ხალხის სახელით ერთი კომუნისტური დამოუკიდებელი რესპუბლიკა შემატეს კაპობრიობას: აფხაზეთის 200,000 მტხოვრების სახელით აღიარეს მათი დამოუკიდებლობა. შემდეგში ეს დაამტკიცა, ასე თქვათ, აფხაზეთის გლეხთა და მუშათა საბჭომ, რომელიც ღმერთმა იცის, რა ბოლშევიკური წესებით და სისტემით ნოსტროვს ამ უზურპატორებმა, ხოლო თფილისის მოლაღატთა რეგოშმა ეს მაკიველური აქტი საქართველოს სხეულის დაქუცმაცებისა დიდის წივით დაამტკიცა.

აფხაზეთის დამოუკიდებლობა ეჭვი არაა მხოლოდ დიპლომატიური გამოგონება დამოუკიდებელ საქართველოს დასასუსტებლათ და არა თვით აფხაზეთის მტხოვრებთა სურვილი. მართლაც და სად გაგონილა 200,000 მტხოვრების დამოუკიდებელი არსებობა! თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ 200,000-იდანაც აფხაზები, რომელთა სახელით მოხდა

ეს გამოყვდა, 40—60 ათასს არ აღემატებინა, ესე იგი დაახლოებით მცხოვრებთა მესამედს წარმოადგენენ, ჩვენთვის ცხადი იქნება მოსკოვის აგენტების ბნელი ზრახვანი და ბნელი საქმენი!

აფხაზეთის ხალხი ამ ოპერაციაში თითქმის რომ არაფერ შუაშია. აფხაზეთის ხალხმა თავის ნებისყოფა საყოველთაო ხმის მიცემით არჩეულ სახალხო საბჭოს სარწმუნოებით გამოსთქვა 1919 წლის 20 მარტს, რაცა 33 ხმით 7 წინააღმდეგ დაადგინა, რომ აფხაზეთი, როგორც ავტონომიური ნაწილი შედის საქართველოს რესპუბლიკაში. ეს 7 დეპუტატი, რომელთაც წინააღმდეგ მისცეს ხმა, საქართველოსთან შეერთებას ემბრობოდენ, მაგრამ ავტონომიის უფლებათა გუფართოებას მოითხოვდენ. ამ რიგით აფხაზეთი დემოკრატიულ საქართველოს ფარგლებში ავტონომიურათ განაგებდა თავის საქმეებს «წითელი» არმიის შემოსევამდე და ფაქტობრათ მაშინ შეტი დამოუკიდებლობით სარგებლობდა, ვინემ დღევანდელი «დამოუკიდებელი საბჭოთა აფხაზეთი».

აფხაზეთი იმდენათ შესისლბორცებული იყო საქართველოსთან, რომ კიროვის, შვიმანის და სხვა ბოლშევიკურ აგენტების მილიონები ხალხის მოსასყიდათ და ამ განაპირა კუთხეში აჯანყების მოსაწყობათ უქმათ იკარგებოდა. სწორეთ ომის დაწყების წინ ამაში იძულებული იყვენ გამომტყდარიყვენ თეთ კომუნისტები, რომელნიც სწერდენ თავის მთავრობას, რომ აფხაზეთის გლტობა შეუგნებელია და აჯანყებას ვერ მოაწყობს, ამიტომ «წითელი» არმია უნდა იქნეს შემოყვანილი მათ «განსათავისუფლებლათა».

თვით ამ ჯარის შემოჭრის დროს აფხაზები, ისინიც კი, ვისაც მოზლიზსკიაცა არ უწევდა, ქართველ ჯართან ერთად იბრძოდენ მოხალისეებათ და მხოლოდ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხების შემდეგ გულდაწყვეტილნი დაუბრუნდენ თავიანთ კვრას და დაემორჩილენ ფიციკურ მოძალადეებს.

კომუნისტებს, მართალია, გაუჩნდათ შიკრები მომხრეები აფხაზეთშიაც, მაგრამ ვინ არიან ეს მომხრეები?

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ესენია იმ 7 გათიშულ დეპუტატის თანაპოზრენი, რომელნიც

1919 წელს ავტონომიის გაუართოებას მოითხოვდენ. მაშინ მათი მთავარი მამომრავლებელი მოტივი იყო ის, რომ თავიდან აეღლინათ საქართველოს რესპუბლიკის დემოკრატიული და რევოლიუციური კანონების მოქმედება აფხაზეთის ტერიტორიაზე და აქ მაინც ძველი წყობილება შეენარჩუნებიათ. ესენი იყენ მტერი დემოკრატიის და მშობრე შავი რუსეთის. როცა აფხაზეთის სანაპიროზე დენიკინის ლაშქარი იდგა, ეს ვეაბატონები ავტონომიის სახელით შოთხოვდენ აფხაზეთიდან ქართველი ჯარის გაყვანას. მაშინ ისინი დენიკინს ეტმანებოდენ. როცა ბოლშევიკების სახით მათ დაინახეს «წითელი» რეაქციის მოსვლა, ამ უკანასკნელს მიემხრენ და აფხაზეთი საბჭოთა საქართველოსაც კი ჩამოაშორეს, რომ უფრო ახლო დაკავშირებოდენ რუსეთის ბნელ რეაქციას.

ეს ფრაქტა შესდგება რუსეთის ყოფილ მხელეებისაგან და იმ ნახევარ-ინტელიგენტებისაგან, რომელნიც ძველი რეჟიმის დროს უკუმარიტ რუსთა კავშირში შედიოდენ: ბ. აღდეროვის, გოლუბევის და სხვ. მეთაურობდით. აი ასეთი ხალხი, დემოკრატიისაგან გარიყული, ყველა ეს ცაგურიები, მარლანიები და სხვ. ამოუდგენ დღეს გვერდში «წითელ» ჯარს და ფეჭქვეშ ეგებინა მას. ფაქტობრათ მათ ძალაუფლება არც მოეპოვებათ და არც იმდენათ თავსატეხ საგნათ აქვთ გადაქცეული. აფხაზეთს განაგებს მოსკოვიდან დანიშნული კომისარი, ვინემ ტრეკიანი, რომელსაც მუშათა და გლეხთა ინსპექტორი ეწოდება და ურობლისოდაც აფხაზეთის კომუნისტები თითსაც ვერ გაანძრევენ.

ცხადია ამ რეაქციის პირწმინდა მოციქულებსაც იგივე ასულდგმულებს, რაც მოსკოვს: ხელი შეუშალონ საქართველოს არსებობას, რადგან საქართველო «დე-იურე» ცნობილია და ბოლშევიკების ოკუპაციით იგი ვერ გაუქმდება; მათ იციან, რომ იგი აღსდგება თავის დემოკრატიულ წყობილებით. და აი ეს ვერ მოუწლებით...

მაგრამ ბოლშევიზმიც ისე განწირულია დღეს, როგორც ამ შავრახველთა ოცნებანი ცარიზმის დაბრუნებაზე. და აფხაზეთი განაზღვრულ, მკვდრეთით აღმდგარ საქართველოს, ჩვენ ღრმად გვწამს, კვლავ გვერდში ამოუდგება. უ.